პოპულარობის მიუხედავად, სოციალური მეწარმეობა ჯერ კიდევ დაკავშირებულია ტერმინოლოგიურ გაურკვევლობასთან. ამ მოვლენის შემსწავლელი მკვლევარები მიუთითებენ, რომ სოციალური მეწარმეობის საზღვრების დაუდგენლობა, მისი ცნების მკაფიო, ყველასთვის მისაღები განსაზღვრების არ არსებობა, დაკავშირებულია სოციალური მეწარმეობის საკმაოდ რთულ, შერეულ ბუნებასთან (Nicholls, 2010). ამ პრობლემის გადასაჭრელად მკვლევარები უბრუნდებიან თვით „მეწარმეობის“ ბუნებას. ჟან ბატისტ სეის, ჯოზეფ შუმპენტერის და პიტერ დრაკერის ნაშრომებზე დაყრდნობით ისინი ასკვნავენ, რომ მეწარმის ქცევის თავისებურებები, რაც მას ჩვეულებრივი მენეჯერისაგან განასხვავებს, უნივერსალურია. სოციალური პრობლემების გადაჭრის სიცოცხლისუნარიან გზებს საფუძვლად შეიძლება დაედოს ისეთივე ელემენტები, რაც წარმატებულს ხდის სამეწარმეო ინოვაციებს. ნებისმიერი მეწარმე ნაცვლად იმისა, რომ დაელოდოს ვინმეს ან შეეცადოს მთავრობა დაარწმუნოს პრობლემის მოგვარებაში, თავად ქმნის პროდუქტს (მომსახურებას) ამ პრობლემის გადასაჭრელად. ეს გადაწყვეტილება მისი მხრიდან განიხილება როგორც სამეწარმეო აქტიურობის განსაკუთრებული ფორმა. ამიტომ, შემთხვევითი არაა, რომ ბოლო წლებში ტერმინი - „მეწარმეობა“, სულ უფრო ხშირად გამოიყენება მაშინ, როდესაც მსჯელობენ სოციალური პრობლემების გადაჭრაზე, ხოლო ტერმინი „სოციალური“, სიტყვათშეთანხმებაში - „სოციალური მეწარმეობა“, განსაზღვრავს ამ საქმიანობის მისიას. ამგვარად, სოციალურ მეწარმეობაში მოიაზრება - სოციალური მისია, სამეწარმეო უნარი, ინოვაციური მიდგომები და გარემოზე ზრუნვა.

სოციალური საწარმო არის შერეული (ჰიბრიდული) ორგანიზაციული ფორმის წარმონაქმნი, რომელიც ერთდროულად ატარებს რამდენიმე სექტორისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, კერძოდ, ის უზრუნველყოფს მაღალი დადებითი ეფექტის მქონე ფასეულობის შექმნას, რაც დამახასიათებელია საჯარო სექტორისათვის, აქტიურად იყენებს საბაზრო ინსტრუმენტებს, რაც არის კერძო სექტორისთვის დამახასიათებელი თვისება და აქვს სოციალური მისია და მჭიდრო კავშირი საზოგადოებასთან, რაც არის ასევე არაკომერციული (მესამე) სექტორის მახასიათებელი (ჯანელიძე, 2019). სოციალური მეწარმეობა მოიცავს როგორც კომერციულ, ასევე არაკომერციულ სფეროს. მართალია, მას გააჩნია როგორც მოგებაზე ორიენტირებული, ასევე არამომგებიანი სექტორისათვის დამახასიათებელი ელემენტები, მაგრამ ის არსებობს და ვითარდება საკუთარი კანონების მიხედვით.

როდესაც მეწარმეობაზეა მსჯელობა ცალსახაა, რომ მთავარი მიზანი მოგების მიღებაა. სწორედ ეს განსაზღვრავს მეწარმეობის მოტივაციას და ქცევის ლოგიკას. სოციალური მეწარმეობა განცალკევებულია როგორც კომერციული, ასევე არაკომერციული სფეროებისაგან. მართალია, მოქმედი პირები შეიძლება იგივე იყოს, მაგრამ მათ გააჩნიათ განსხვავებული მიზნები, ფასეულობათა სისტემა, ქცევის ლოგიკა და მოტივაცია. ურთიერთკავშირების სისტემა ორიენტირებულია საზოგადოებრივ სარგებელსა და სოციალური პრობლემების გადაწყვეტაზე. აქ მთავარია არა მხოლოდ ეკონომიკური ეფექტიანობა, არამედ თითოეული მონაწილის წვლილი საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში - რაც უფრო მეტი სარგებელი მოაქვს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს საზოგადოებისათვის, მით მეტ რესურსებს, ინვესტიციებს და დაკვეთებს იღებს. ამ დროს მოგებული რჩება არა მხოლოდ საწარმო, ვისი შემოსავლებიც იზრდება, არამედ მთლიანად საზოგადოება.

სოციალური მეწარმეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია ინოვაციურობა, რაშიც იგულისხმება, ერთი მხრივ, ორიენტაცია სოციალურ გარდაქმნებზე, რომელიც უზრუნველყოფს ამა თუ იმ სოციალური პრობლემის ახლებურ გადაწყვეტას; მეორე მხრივ, ესაა ეკონომიკური გარდაქმნები, რამდენადაც სოციალური მიზნების მიღწევა ხდება სამეურნეო სიახლეებზე დაყრდნობით - ეკონომიკური და სოციალური რესურსების განსაკუთრებული კომბინაციით, რაც ადრე ასეთი სახით არ გამოიყენებოდა. ამ შემთხვევაში საკვანძო როლი აქვს მეწარმეს, რომელიც აღმოაჩენს მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემას და პოულობს ორიგინალურ მეთოდს მის გადასაწყვეტად. თუ მიდგომა გაამართლებს, იწყება ზრუნვა ამ მეთოდის უფრო ფართოდ დასანერგად. ამიტომ, სოციალური მეწარმეობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია გავრცელების მასშტაბურობა და საზოგადოებრივი ცვლილებების ტირაჟირების უნარი, რამაც გაცილებით მეტი პროგრესი უნდა უზრუნველყოს, ვიდრე საწყისი იდეა ითვალისწინებდა.

სოციალური საწარმოების განვითარების დონის მიხედვით ოთხი კატეგორიის ქვეყნებს გამოყოფენ (სოციალური მეწარმეობის ინიციატივა საქართველოში, 2021):

- ემბრიონული ფაზა - ქვეყნები სადაც სოციალური მეწარმეობა ფეხს იკიდებს;
- პროგრესის ფაზა - ქვეყნები, სადაც შეინიშნება ამ სექტორის განვითარება და მთავრობა უფრო მეტ ყურადღებას უთმობს მას;
- კონსოლიდაციის ფაზა - ქვეყნები, სადაც სოციალური მეწარმეობა წარმატებით ფუქნციონირებს, გადადმულია არსებითი ნაბიჯები მისი ინსტიტუციონალიზაციისათვის, თუმცა არ არის დასრულებული;

□ ინსტიტუციონალიზაციის ფაზა - აქ მოიზრებიან ის ქვეყნები, რომლებსაც ყველაზე გამართული საკანონმდებლო, პოლიტიკური და ინსტიტუციური ბაზა გააჩნია.

საქართველოსთვის სოციალური მეწარმეობა ახალი მოვლენაა. მისი შედარებით აქტიური განვითარება პოსტსაბჭოთა პერიოდის შემდგომ, 21-ე საუკუნიდან დაიწყო. ამკონცეფციის პოპულარიზაცია საქართველოში დონორი ორგანიზაციების საქმიანობას უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა დასაქმებაზე, შშმ პირების დახმარებაზე და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ხელშეწყობაზე ორიენტირებული ორგანიზაციები, ქვეყანაში სოციალური მეწარმეობის იდეის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების დონე ძალზედ დაბალი იყო. საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის მიერ განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების შედეგად, დღესდღეობით სოციალური მეწარმეობის კონცეფცია საქართველოში საკმაოდ პოპულარულია და თანდათანობით იზრდება ასეთი საწარმოების რიცხვი (მხეიძე, 2017).

სოციალური საწარმოს შექმნის ინიციატივა, ხშირ შემთხვევაში საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან მოდის. ისინი იწყებენ საქმიანობას ორგანიზაციის შიგნით ან აფუძნებენ დამხმარე საწარმოს. ამის თვალსაჩინო მაგალითია ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“, რომელიც ფერმერთა გაერთიანებაა. მისი მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და გარემოს დაცვას, სიცოცხლისუნარიანი (მდგრადი) ბიომეურნეობების განვითარებას და სოფლად მოსახლეობის თვითაქტივობის გაზრდას (ელკანა, 2024).

საქართველოში სოციალური საწარმოებისათვის არ არის განსაზღვრული სპეციფიკური ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ ნებისმიერი სამეწარმეო, თუ არასამეწარმეო ფორმით დაფუძნებულმა სუბიექტმა განახორციელოს ასეთი საქმიანობა. თუმცა, პრაქტიკაში დომინირებს კერძო სამართლის არაკომერციული იურიდიული პირის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კოოპერატივის ფორმით დაფუძნებული სოციალური საწარმოები. საქართველოს საგადასახადო კოდექსი არ აწესებს არავითარ შეღავათს უშუალოდ სოციალური მეწარმეებისათვის. შესაბამისად, მათი დაბეგვრის რეჟიმი დამოკიდებულია საქმიანობის მასშტაბებსა და შერჩეულ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე.

ევროკავშირში გაწევრების კანდიდატის სტატუსი დამატებით შესაძლებლობებს ქმნის საქართველოში სოციალური მეწარმეობის განვითარებისათვის. ევროკავშირის „სოციალური ბიზნესის ინიციატივა“, მიზნად ისახავს სოციალური მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერას (Social Economy Europe, 2024). აღნიშნული ინიციატივის ერთერთი ძირითადი მიმართულებაა ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა სოციალური საწარმოებისათვის, ევროკავშირის სტრუქტურული ფონდებისა და სხვა პროგრამების გამოყენებით. გარდა ამისა, გამოყოფილია სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის წინაპირობები: საზოგადოებაში პოზიტიური ცნობიერების დამკვიდრება, ხელსაყრელი სამართლებრივი, საგადასახადო და ინსტიტუციური გარემოს ფორმირება და სხვა (Agapitova, Sanchez, & Tinsle, 2017).

დასკვნა. ამრიგად, სოციალური მეწარმეობა შეიძლება განვიხილოთ როგორც ეფექტიანი გზა მდგრადი განვითარების პრობლემების გადაწყვეტისათვის. ის ხასიათდება შემდეგი ძირითადი ნიშნებით: სოციალური ზემოქმედება - გამიზნულია სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტაზე ან შემსუბუქებაზე; ინოვაციურობა - ახალი, უნიკალური მიდგომების გამოყენებით სოციალური პროგრესის მიღწევა; კომერციალიზაცია და ფინანსური მდგრადობა - სოციალური პრობლემების მოგვარება სამეწარმეო საქმიანობის პროცესში; მასშტაბურობა და ტირაჟირების უნარი - სოციალური საწარმოს საქმიანობის მოდელის გაფართოების შესაძლებლობა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

არსებული მზარდი სოციალური პრობლემების, ასევე მათი გადაწყვეტის ტრადიციული მექანიზმების გამოყენების დაბალი ეფექტიანობის გათვალისწინებით, სოციალური მეწარმეობის განვითარების პოტენციური საქართველოში საკმაოდ მაღალია. მეწარმეობის ამ ფორმის განვითარების მხარდაჭერის შემთხვევაში სახელმწიფო მნიშვნელოვან ნაბიჯებს გადადგამს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის დღის წესრიგით ნაკისრი და სხვა საერთაშორისო ვალდებულებების (გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები) უკეთ შესასრულებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Agapitova, N., Sanchez, B., & Tinsle, E. (2017). Government Support to the Social Enterprise Sector: Comparative Review of the Policy Frameworks and Tools. World Bank Group.
2. Nicholls, A. (2010). The legitimacy of social entrepreneurship. *Entrepreneurship Theory and Practice*, Vol. 34, Issue 4, 611-633.
3. Shaburishvili, S. (2016). Social Changes and Economic Development in Georgia. *Economics and management organization*, 12-18.
4. Shaburishvili, S., & Chania, M. (2018). Inclusive Business Phenomenon. *Business Education in the 21st Century*. (pp. 240-245). Tetovo: South East European University.
5. Social Economy Europe. (2024, November 7). Retrieved from www.socialeconomy.eu.org/our-work: <https://www.socialeconomy.eu.org/our-work/important-milestones-achieved/>
6. Starikova, E. A. (2017). Importance of the concept of sustainable development in the activities of transnational corporations. *Journal of Economics, Entrepreneurship and Law*, 125-136.
7. UN News. (2024, November 8). Retrieved from UN News Global perspective Human stories: <https://news.un.org/en/>
8. Worldometer. (2024, November 8). Retrieved from Worldometer - real time world statistics: www.worldometers.info
9. ელკანა. (2024, ოქტომბერი 25). Retrieved from www.elkana.org.ge: <https://www.elkana.org.ge/articlebycategory/5>
10. მხეიძე, ი. (2017). სოციალური მეწარმეობის პრაქტიკა და გამოწვევები საქართველოში. თბილისი: საქართველოს სტრატეგიული კვლევების და

განვითარების ცენტრი.

11. სოციალური მეწარმეობის ინიციატივა საქართველოში. (2021). სოციალური მეწარმეობის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერა საქართველოში. თბილისი.
12. შაბურიშვილი, შ. (2012). სოციალური მეწარმეობის ფენომენი და ინკლუზიური ბიზნესის მოდელები. ეკონომიკა და ბიზნესი, 101-103.
13. შაბურიშვილი, შ. (2016). მეწარმეობის ეკოლოგიური ორიენტაციის ძირითადი მიმართულებები. გლობალიზაცია და ბიზნესი, 228-233.
14. შაბურიშვილი, შ. (2017). ინკლუზიური ბიზნესის განვითარების თავისებურებები გლობალიზაციის პირობებში. გლობალიზაცია და ბიზნესი N3, 71-75.
15. ჯანელიძე, ნ. (2019). სოციალური მეწარმეობა, როგორც კვლევის ახალი სფერო. ეკონომიკა და ბიზნესი, 176-188.

რეზიუმე

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მეცნიერები და პრაქტიკოსები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და პოლიტიკური მიზნების მიღწევის კომპლექსური მექანიზმების გამოვლენას. ამ კონტექსტით სოციალური მეწარმეობა შეიძლება განვიხილოთ როგორც ეფექტიანი გზა მდგრადი განვითარების პრობლემების გადაწყვეტისათვის. სოციალური მეწარმეობა აერთიანებს სოციალურ მისიას და ეფუძნება ისეთ ქმედებებს რომელიც მიმართულია კეთილდღეობის და ცხოვრების ხარისხის ამაღლებაზე. სოციალური მეწარმეობის ფასეულობები მოიცავს რესურსების მოზიდვას საზოგადოების მდგრადი და ინკლუზიური განვითარების უზრუნველყოფისთვის, ის დამყარებულია ნდობასა და ურთიერთპატივისცემაზე. სოციალური მეწარმეობა ორიენტირებულია საზოგადოების და ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტაზე ინოვაციური მეთოდების გამოყენებით.

CHALLENGES OF SUSTAINABLE DEVELOPMENT AND SOCIAL ENTREPRENEURSHIP

Shota Shaburishvili

Doctor of Economics, Associate Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

At the modern stage of society's development, scientists and practitioners pay special attention to revealing the complex mechanisms of achieving social, economic, ecological and political goals. In this context, social entrepreneurship can be considered as an effective way to solve the problems of sustainable development. Social entrepreneurship combines a social mission and is based on actions aimed at improving well-being and quality of life. The values of social entrepreneurship include raising resources to ensure sustainable and inclusive development of society, it is based on trust and mutual respect. Social entrepreneurship is focused on solving the problems of society and the planet using innovative methods.

Keywords: Sustainable development; Social mission; Entrepreneurship; Poverty; Ecology.

MODERN MANAGEMENT

Sophiko Shoshiashvili
Doctor of Business Administration (Ph. D.)

UDC 658.336

DOI: 10.52340/gbsab.2024.53.04

Keywords: Science, administration, management system, concept, economics, organization.

Introduction

Modern Georgian society needs a new management model that combines domestic traditions and the best modern world developments. In this case, we can focus on the experience of Eastern countries (Japan and China), as discussed in the article, which has created unique management models that go beyond the understanding of Western man. Thus, many theoretical and practical opportunities can be discovered. This direction will allow educational institutions to graduate already trained specialists with a new level of knowledge, which allows them to carry out their activities more effectively. At the same time, we can focus on the experience of the East (Japan, China) countries that have created unique management models that go beyond the “common sense” of Western man. Many opportunities can be discovered not only in practice but also in scientific theories. This direction will allow educational institutions to graduate already trained specialists with a new level of knowledge, which will allow them to carry out their activities more effectively. Thus, they will be able to make the necessary management decisions on the spot, having the appropriate competencies and skills for this. Today, Georgia needs such management systems that would ensure that organizations or enterprises achieve world production standards and a high level of competitiveness. This means that enterprises can solve mutually exclusive problems: improve quality and productivity, and ensure an acceptable level of prices for products due to constant cost reduction.

In all scientific fields, especially in the economy, competent specialists are required who understand and know not only their field of activity, which is intertwined with their main activity. Particularly noticeable is the lack of highly qualified management apparatus, where specialist managers are required who can quickly make management decisions. Successful implementation of management depends on several factors, one of which is the quality of management personnel. However, the manager is not always ready to take responsibility and make competent and effective decisions in unforeseen circumstances. The article shows that the psychological component of the manager’s work, which determines the manager’s ability to work within the team, also becomes important. The manager must be able to create a moral and psychological climate in the team and treat people with respect regardless of their status. The inability to formulate clear goals shows ignorance of the organization’s scope of activities, inability to competently motivate employees to work often leads to the fact that an enterprise or firm cannot maintain its position in the market, and competing organizations that have competently distributed such an important resource as time very quickly outpace the enterprise in many respects. The management difficulties listed by the authors of the article arise in our country due to the lack of management experience in a market economy. According to the authors, the transition from a command to a market economy occurred recently, and the

mentality of most people has remained the same, the peasant worked for the landowner and had very little time for himself. So today, despite the creation of a corporate culture by companies, many employees of enterprises, firms, and organizations work not to move the company forward, but simply to receive a certain reward for their work. Secondly, many organizations choose an authoritarian management style. Managers decide everything themselves without involving employees in the management process, and the employees themselves are therefore sluggish, requiring more time to complete the task. Enterprise managers do not think about further development in the long term. Therefore, organizations should try to change the attitude of employees to work.

Results and Discussion. In Georgian science and practice, we often find terms such as “management” and “manager”. The use of these English-language terms in Georgia began in the 90s of the 20th century, during the transition to the market principles of the Georgian economy. To date, such a concept as “management” has been consolidated in scientific and everyday use, and hundreds of educational programs of Georgian higher institutions train qualified managers. There are dozens of definitions of management in Georgian literature. Many of them agree that management is a special type of management that has its characteristics, namely:

1. Management is a system of interchangeable actions, principles, and approaches.
2. Management is carried out in a market economy.
3. Management is management within one specific organization.
4. Management aims to generate commercial profit.
5. Management is carried out by hired professional managers [1, 2, 3, 4, 5].

The need to clarify the concept of “management” is urgent. It is impossible to understand many modern management problems without determining the correct direction and content of personnel training. It is necessary for students and teachers to solve the problem involved in the process of training specialists in the field of management, or even to formulate it correctly.

The term “management” first appeared in England in 1886, when Eile and Town Manufacturing Henry R. Town tried to systematize the existing knowledge in the field of production management. However, the term “management” was coined only in 1911 by Frederick W. Taylor. It gained real importance with the publication of Taylor’s book “Principles of Scientific Management”. This work marked the beginning of management as a management science. In Taylor’s understanding, the importance of scientific management is the separation of management activities from those of performers, the selection and training of personnel, and the material incentives of workers [6].

The further development of management was continued by F. and L. Gilbraith, G. Gant schools of scientific management. They proved that by introducing rationalization methods (improvement of labor operations, scheduling of work tasks) it is possible to increase labor efficiency.

A better explanation is also found in A. Fayol’s famous 14 principles of management. He was the first to formulate the basic management functions that express the essence of the Western management system: “Management means foreseeing, planning, organizing, directing, coordinating and controlling” [7].

All scientific fields, especially economics, need competent specialists who understand and know not only their main field of activity. Particularly noticeable is the lack of highly qualified management personnel, which requires specialist managers who can quickly make management decisions. The successful implementation of management depends on several factors, one of which is the quality of management personnel. However, the manager is not always ready to take responsibility and make competent and effective decisions in unforeseen circumstances.

Also important is the psychological component of the manager's work, which determines the manager's ability to work in a team. A leader must be able to create a moral and psychological climate in the team and treat people with respect, regardless of their status. The inability to establish clear goals indicates ignorance of the organization's field of activity, the inability to competently motivate employees to work often leads to the fact that an enterprise or firm cannot maintain its position in the market, and competing organizations that have competently allocated such an important resource as time quickly overtake such a company in many ways.

Conflicts arise between sales department managers and between the sales department and production. R. Fisher and U. According to Uri, mediators have a special place in the conflict, who may not be among the participants in the conflict, but their actions always have the goal of resolving the conflict situation [8].

Today, an ideal leader should have the following qualities: objectivity, dexterity, patience, and gentleness. This implies the ability to determine facts objectively, the ability to make management decisions, the ability to act in non-standard situations, patience during analysis, building logical chains, calmness as the ability to compromise, and the ability to listen to opponents. The last feature is especially important because a. In Govinda's statement, "A dead truth is no better than a lie because it leads to inertia, the most incomprehensible form of ignorance" [9].

All the above management difficulties in our country arise due to the lack of management experience in a market economy. The transition from a command to a market economy has just happened, and the mentality of most people has remained the same. So, today, despite the creation of a corporate culture by companies, many employees of enterprises, firms, and organizations work not to advance the company, but simply to receive a certain remuneration for their work.

In addition, many organizations choose an authoritarian management style. Managers decide everything independently without involving employees in the management process, and therefore employees themselves are lazy and need more time to complete tasks. Enterprise managers do not think about further development in the long term. Therefore, organizations should try to change the attitude of employees towards work.

Conclusion

Modern Georgian society needs a new management model that combines domestic traditions and the best modern developments in the world. At the same time, emphasis can be placed on the experience of Eastern countries discussed in the article (Japan, China), which have created unique models of management that go beyond the "common sense" of a Western person (in Chinese, for example, the concept of "management" is not used at all, as well as other foreign words). Therefore, it is possible to open many possibilities not only in practice but also in scientific theories. This direction will allow educational institutions to produce already trained specialists with a new level of knowledge, allowing them to implement them more effectively during their activities. Thus, they can make the necessary management decisions quickly, with the appropriate competence and skills [10]. Today, Georgia needs management systems that ensure the achievement of world production standards and a high level of competitiveness of organizations and enterprises. This means enterprises can solve mutually exclusive problems: improve quality and productivity and ensure an acceptable level of product prices by constantly reducing costs.

References:

1. Ballantyne, D.F. "Internal marketing, collaboration and motivation in service quality management", working paper No. SWP 23/91, Cranfield School of Management. 1991.
2. Bateson J.E.G. *Managing Services Marketing Text Readings* // U.S.A.: The Dryden Press.
3. Bradley Frank. *Marketing Management. Providing, Communicating, and Delivering Value* // Prentice Hall Europe. 1995. 990 p.
4. Chechelashvili M., Dekanosidze S., Management tools used in Georgian management style systems, *Journal "Social Economy - XXI Century"* N 3, 2016.
5. Cotter, D.P. *Ahead of change*, Olimp-Biznes, 2014. 256 p.
6. Follet M.P. *Dynamic administration*. Moscow: Finance and Statistics, 1948. 162 p.
7. Grunroos, C. "Internal marketing theory and practice", in Bloch, T.M., Upah, G.D. and Zeithaml, V.A. (Eds), *Services Marketing in a Changing Environment*, American Marketing Association. 1985, pp. 41-47.
8. Gummesson E. "Case study research in management: methods for generating qualitative data", Stockholm University (preliminary script). 1992.
9. Imai M. *Kaizen. The key to the success of Japanese companies*. M.: Alpina Business Books, 2004. 274 p.
10. Kotler Ph. *Marketing Management: Analysis, planning, implementation and control*. 6th ed. Englewood Cliffs, N.J.: Prentice-Hall. 1988.
11. M. Chechelashvili, L. Berikashvili, *Management Today and Tomorrow*, Scientific Pages N13, 2018, ISSN 2310-5577
12. M. Chechelashvili, L. Ptaschenko, "The Modern Management – Reboot", The 2-nd International Scientific Conference "Globalization and Current Challenges in Business", GTU, Tbilisi, 25-26 May 2018
13. Mintsberg G., Alstrend B., Lampel J., *School of Strategies/Transl. from English.*, Ed. Yu.N. Kapturevsky. St. Petersburg: Peter, 2000. 336 pp.
14. Penrose Edith T. *Theory of the Growth of the Firm*. Oxford: Blackwell, 1960.
15. Shane E.X. *Organizational culture and leadership*. St. Petersburg: Peter, 2002, 336 pp.
16. Shannon K. Von; *Neumann's contribution to the theory of automata* // *Information Society: Collection*. Moscow: AST, 2004. P. 11-15.
17. Sheldrake J. *The theory of management: from Taylorism to Japanization*. St. Petersburg: Peter, 2001.
18. Shiba Sh. *New American total quality management: textbook* / Sh. Shiba, A. Graham, D. Walden. INFRA-M, 2001. 348 p.
19. *Strategic gap: technology implementation of corporate strategy to life*: Per. with English. / Coveney M., Ganster D., Hartlen B, King D.M.: Alpina Business Books, 2004. 232 p.
20. Taylor F.U. *Principles of scientific management*. Moscow: Controlling, 1991, 104 p.
21. Wilson, R.M.S., Gilligan, C.T. and Pearson, D.J. *Strategic Marketing Management: Planning, Implementation and Control*, Butterworth Heinemann/CIM, London. 1992.

RESUME

The article analyzes the evolution of the concept of “management”. The main problems of modern Georgian management are considered, particularly the quality of management personnel. The need for interaction between science and practice of management of organizations, continuous exchange of knowledge, between scientific institutes and enterprises, and generalization of accumulated experience in specific new management theories is revealed. It is concluded that the creation of a new form of cooperation will ensure the effective functioning of enterprises and organizations in our country.

პოლონეთისა და უკრაინის გეოსტრატეგიული არჩევანი

გურამ მარხულია
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

DOI: 10.52340/gbsab.2024.53.05

საკვანძო სიტყვები: უკრაინა, პოლონეთი, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, ევროკავშირი, საერთაშორისო ურთიერთობები, გეოპოლიტიკა.

შესავალი

პოლონეთ-უკრაინის ურთიერთობები, რომლებსაც დიდი ტრადიცია აქვს, რთული და მრავალმხრივი პროცესებისა და მოვლენების არსებობით ხასიათდება. ორივე ხალხს, პოლონელებსა და უკრაინელებს საერთო სახელმწიფო სტრუქტურებში ურთიერთობისა და ფუნქციონირების დიდი გამოცდილება აქვთ; ორივეს ერთი მტერი ჰყავს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში, სახელმწიფოებრიობის დაკარგვასა და აღდგენაში. ორმხრივი ურთიერთობების ისტორია მდიდარია დრამატული და თუნდაც ტრაგიკული მოვლენებით, რომლებმაც ტრავმული კვალი დატოვა ორი ერის კოლექტიურ მეხსიერებაში. დღეს უკრაინაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მსოფლიო საზოგადოების ყურადღება არა მხოლოდ ამ ქვეყანაზე, არამედ კრიზისის მოგვარების ყველა მონაწილეზეა მიპყრობილი. ამ უკანასკნელთა შორის, განსაკუთრებით, აღსანიშნავია პოლონეთი, რომელიც ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა უკრაინის ბედისწერაში, ამიტომ პოლონეთ-უკრაინის ურთიერთობების გაანალიზებისას, თანაბარი ყურადღება უნდა მიექცეს, როგორც ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობის ისტორიულ გამოცდილებას, ასევე მათ ამჟამინდელ მდგომარეობას.

ძირითადი ტექსტი

2014 წელს უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა პოლონეთი ერთ-ერთ ყველაზე მეტად აქტიურ და დაინტერესებულ პოლიტიკურ აქტორად იქცა. ქვეყნის ამ პოზიციას ლოგიკურად განსაზღვრავს პოლონეთ-უკრაინის ურთიერთობების მთელი წინა ისტორია, რომელიც სავსეა დრამატულობითა და სირთულით, როგორც იმ გრძელვადიან პერიოდში, როდესაც ორივე ხალხი პირველი პოლონეთ-ლიტვის თანამეგობრობის ნაწილი იყო, ასევე ჩვენი დროიდან არც თუ ისე შორს [1].

მეოცე საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დემოკრატიული რეფორმების შემდეგ. პოლონეთის რესპუბლიკასა და უკრაინას შორის ურთიერთობაში ახალი ერა დაიწყო. სოციალისტური სისტემის ნგრევამ და მისმა დასაყრდენმა სსრკ-მ პოლონეთს საშუალება მისცა გადაემწყვეტა შეეცვალა საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია, რამაც მას სრულიად განსაზღვრული ევროატლანტიკური მიმართულება მისცა. 90-იანი წლების პოლონეთ-უკრაინის ურთიერთობები სამართლიანად შეიძლება განხილულ იქნას პოლონეთის „აღმოსავლეთის პოლიტიკის“ ფართო კონტექსტში, ე.ი. მისი ურთიერთობა უკრაინასთან, ბელორუსთან, ლიტვასთან და რუსეთთან. ამ მიმართულების ჩამოყალიბებაზე სერიოზული გავლენა იქონია იერჟი გიდროიკის - იულიუმ მიეროშევსკის კონცეფციამ. როგორც ცნობილია, „კულტურის“ იდეოლოგიების იდეების თანახმად, პოლონეთის აღმოსავლური პოლიტიკისთვის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია ურთიერთობების დამყარება არა მხოლოდ რუსეთთან, არამედ უკრაინასთან, ბელორუსთან და ლიტვასთან,

რომლებიც პოლონეთის უშუალო მეზობლები არიან. ამავდროულად, აუცილებელია იმის აღიარება, რომ პოლონეთ-რუსეთის ურთიერთობები ყოველთვის იყო, როგორც იუ მეროშევსკი წერდა, "მხოლოდ იმ სიტუაციის ფუნქცია, რომელიც მოცემულ ისტორიულ პერიოდში განვითარდა".

ამ იდეების გავლენის ერთგვარი მტკიცებულებაა პოლონეთის საგარეო პოლიტიკის ახალი ორიენტაცია, რომელიც შეიძლება გამოითქვას პრინციპით „ორი ბილიკი“. იგი პოლონურმა დიპლომატიამ 1989 წლის შემდეგ განახორციელა და გულისხმობს სსრკ-სთან და ცალკე რესპუბლიკებთან ინდივიდუალური ურთიერთობის პარალელურ მშენებლობას. საკავშირო რესპუბლიკების მიერ 1990 წლის ზაფხულში გამოცხადებული სუვერენიტეტის დეკლარაციების კონტექსტში სწორედ ეს პოლიტიკა მიიჩნევა ადეკვატურად.

«ორმაგი ბილიკის» პერიოდი დასრულდა სსრკ-ს დაშლით და პოლონეთის მიერ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარებით. ამ ეტაპის დასრულების შემდეგ დაიწყო პოლონეთ-უკრაინის ორმხრივი ურთიერთობების ეტაპი. პოლონეთმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო უკრაინას: სწორედ პოლონეთის რესპუბლიკა იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც სრულიად უკრაინული რეფერენდუმის შემდეგ უკრაინის დამოუკიდებლობა აღიარა.

1991-90-იანი წლების ბოლოს და 2000-იანი წლების დასაწყისში პოლონეთის პრეზიდენტი ა. კვასნევსკი უფრო ხშირად ხვდებოდა უკრაინის პრეზიდენტ ლ. კუჩმას, ვიდრე რომელიმე სხვა სახელმწიფოს მეთაურს. თუმცა, საერთაშორისო ურთიერთობების პოლონელი ისტორიკოსის რ. კუზნიარის სიტყვებით, ეს იყო „სიზიფეს შრომა“, რადგან ლ. კუჩმა, ევროპასთან დაახლოების სიტყვიერად მომხრესთან ერთად, რეალურად ცალსახა პოლიტიკას ატარებდა. აქ ნათლად გამოიკვეთა მეტოქეობა რუსეთსა და პოლონეთს შორის უკრაინაში გავლენის მოსაპოვებლად. 2000-იანი წლების დასაწყისიდან უკრაინის პოლიტიკის პრორუსული მიმართულება თითქოს გაძლიერდა. ანატოლი ზლენკო, რომელმაც შეცვალა ბორის ტარასიუკი რუსეთთან „სტრატეგიული პარტნიორობის“ პოლიტიკის გატარებისა და პოლონეთთან „კეთილმეზობლობისკენ“ იყო მიდრეკილი, თუმცა, 2002 წლისთვის სიტუაცია კვლავ შეიცვალა. იმავე წელს მიიღეს „უკრაინის ევროკავშირთან ინტეგრაციის პროგრამა“. ლ. კუჩმამ წამოჭრა საკითხი ნატოში გაწევრიანების შესახებ, მაგრამ ალიანსთან ურთიერთობა წარმატებით არ განვითარდა: უკრაინას ბრალს დებდნენ ახლო აღმოსავლეთისადმი იარაღის მიწოდებაში, ხოლო თავად ქვეყანაში მოსახლეობის 80% ნატოში გაწევრიანების წინააღმდეგი იყო.

პოლონელები ჯიუტად უჭერდნენ მხარს უკრაინის განვითარების პროდასავლურ ვექტორს. 2003 წელს უკრაინელმა პოლიტიკოსებმა კვლავ დაიწყეს საუბარი პოლონეთთან „სტრატეგიულ პარტნიორობაზე“, მაგრამ გარდამტეხი 2004 წლის კიევში განვითარებული «ნარინჯისფერი რევოლუციის» მოვლენები გახდა. უკრაინაში გაჩენილი კრიზისი მოგვარდა პოლონური მხარის, კერძოდ, პრეზიდენტის ა. კვასნევსკის უშუალო ჩარევით. ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო არა მხოლოდ ქვეყნის ლიდერებმა, არამედ სამოქალაქო საზოგადოებამ: მთელმა პოლონეთმა იმდერა სიმდერა «ერთად ჩვენ ბევრი ვართ», რომელიც «ნარინჯისფერი რევოლუციის» ჰიმნი გახდა, ბევრი პოლონელი იყო მაიდანზე, საარჩევნო უბნებზე სამი ათასი დამკვირვებელი მუშაობდა. პოლონეთში საზოგადოებრივი აზრი აშკარად ვ. იუშჩენკოს მხარეს იყო. მეორე ტურში გამარჯვების შემდეგ, როგორც ჩანს, უკრაინაში პოლონეთმა მოიგო.

პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. როტფელდმა მაშინ განაცხადა, რომ პოლონელების მასიური მხარდაჭერა „ნარინჯისფერი რევოლუციისთვის“ შეიძლება გახდეს ორი ქვეყნის ურთიერთობებში გარდამტეხი მომენტის საფუძველი. ს. მელერმა, რომელმაც იგი პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელ

თანამდებობაზე შეცვალა უკრაინასაც განსაკუთრებული ადგილი დაუთმო პოლონეთის საგარეო პოლიტიკაში. უფრო ხშირად, ვიდრე ოდესმე, იმ დროს ისმოდა სიტყვები, რომ «თავისუფალი უკრაინის გარეშე არ იქნება თავისუფალი პოლონეთი და თავისუფალი პოლონეთის გარეშე არ იქნება თავისუფალი უკრაინა» [2].

სწორედ, პოლონეთის წყალობით 2004 წლიდან ევროკავშირმა მხარი დაუჭირა „ნარინჯისფერ რევოლუციას“ უკრაინაში. რეზოლუცია „სიტუაცია უკრაინაში“, რომელიც თითქმის ერთხმად იქნა დამტკიცებული ევროპარლამენტის მიერ, მიღებულ იქნა ჯ. სარიუმ-ვოლსკის ინიციატივით, რომელიც, როგორც ევროპარლამენტის ვიცე-პრეზიდენტი, სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთ მიმართულებაზე იყო პასუხისმგებელი. მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნული იყო უკრაინის ისტორიული კავშირები ევროკავშირის ქვეყნებთან, ქვეყნის ევროპასთან კუთვნილება და არჩევნების შედეგების არაღიარების მოწოდება. პოლონელმა დეპუტატებმა გამართეს მთელი რიგი შეხვედრები და კონსულტაციები კოლეგებთან და მოუწოდეს მათ აქტიური ჩარევა უკრაინის საკითხის გადაწყვეტაში. შედეგად მიღებულ იქნა დადგენილება უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების საკითხზე, რომელიც მომზადებულია მ. კამინსკის მიერ. დოკუმენტში აღნიშნულია უკრაინის ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივები და უკრაინელი ხალხის მოწოდება, რომ მხარი დაუჭიროს ევროპულ ღირებულებებს - სამოქალაქო საზოგადოებას, კანონის უზენაესობას. როგორც ი. სარიუმ-ვოლსკი მიიჩნევს, სწორედ იმ პერიოდში, აქტიური პოზიციის წყალობით, „პოლონელებმა კავშირის აღმოსავლელ მეზობლებთან კონტაქტების სფეროში ექსპერტების რეპუტაციის მოპოვება“ მოახერხეს[3].

ვ. იუშჩენკო პირველი უცხოური ვიზიტით იმყოფებოდა ვარშავაში. ა. კვასნევსკი გამუდმებით ზრუნავდა თავის უკრაინელი მეგობარის ევროპასთან დაახლოების სურვილის რეალიზაციაზე, მით უმეტეს, რომ ევროპარლამენტმა აღიარა უკრაინის სურვილის ლეგიტიმაცია გამხდარიყო ევროკავშირის წევრი. ვ. იუშჩენკოს ენთუზიაზმით შეხვედრა განსსკში სოლიდარობის 25 წლის იუბილეზე გაიმართა.

2004 წლის უკრაინული მოვლენების დროს პოლონეთის აქტიურობამ განსაკუთრებული ძალით აღნიშნა შეუსაბამობა რუსეთისა და პოლონეთის სტრატეგიულ მიზნებს შორის. პრეზიდენტმა ა. კვასნევსკიმ „ნარინჯისფერი რევოლუციის“ შეფასებისას აღნიშნა, რომ „ყოველი დიდი სახელმწიფოსთვის რუსეთი უკრაინის გარეშე უკეთესია, ვიდრე რუსეთი უკრაინასთან“. პოლონეთის პრეზიდენტმა არ დამალა კმაყოფილება რუსეთზე გამარჯვებით და თითქმის ღიად თქვა, რომ ამ გამარჯვებით ამერიკის შეერთებული შტატებიც იყო დაინტერესებული.

ნარინჯისფერი რევოლუციის შემდეგ პოლონეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობები მკვეთრად გაცივდა და არაერთი კონფლიქტი და ინციდენტი მოხდა. პოლონელებმა ვერ დაარწმუნეს რუსული მხარე, რომ პოლონეთის პოზიცია უკრაინაში რუსეთის წინააღმდეგ არ არის მიმართული, რომ ეს არის ბრძოლა დემოკრატიული ღირებულებებისთვის.

2005 წლიდან პოლონეთ-უკრაინის ურთიერთობების დინამიკა კლებულობს. პრეზიდენტი ლ. კაჩინსკი უფრო მეტად ქვეყნის შიდა პრობლემებზე იყო ორიენტირებული. უკრაინაშიც შეიცვალა სიტუაცია: 2006 წელს ვ. იანუკოვიჩმა უკრაინის ნატოში გაწევრიანებაზე უარი განაცხადა. „გაფართოებით დაღლილმა“ ევროკავშირმა უკრაინის მიმართ დიდი ენთუზიაზმი არ გამოიჩინა. თავად უკრაინაში კი პოლონეთი სულ უფრო ნაკლებად აღიქმებოდა, როგორც დასავლეთში ქვეყნის ინტერესების გამტარი.

პარტიის „კანონი და სამართლიანობა“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში და ლ. კაჩინსკის პრეზიდენტობის პერიოდში აღმოსავლური პოლიტიკის არსი დაყვანილ იქნა

მისი, როგორც ევროკავშირის საერთო პოლიტიკის გატარების სურვილზე. უფრო მეტიც, პოლონეთი აცხადებდა, რომ იყო ერთგვარი ექსპერტი აღმოსავლეთში, პრობლემის ექსპერტი, რომელსაც შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს რუსეთს რეგიონში მისი ყოფილი გავლენის შენარჩუნების მცდელობებში.

ლ. კაჩინსკიმ 2006 წელს განაცხადა, რომ პოლონეთი თავის ამოცანას „დემოკრატიული სამყაროს“ საზღვრების კიდევ უფრო - აღმოსავლეთით და სამხრეთით გაფართოებაში ხედავს. პოლონეთის პრეზიდენტის ინიციატივით შეიქმნა ყოფილი სსრკ-ის ქვეყნებში დემოკრატიის მხარდაჭერის ფონდი. ფონდის მისია იყო პოლონეთის რეფორმების გამოცდილების პოპულარიზაცია და დასავლეთთან კომუნიკაციაში ქვეყნის, როგორც შუამავლის იმიჯის გაძლიერება.

პოლიტიკური დესტაბილიზაცია უკრაინაში

2007 წლიდან, ტუსკის მთავრობის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სიტუაცია გარკვეულწილად შეიცვალა. აღმოსავლეთის პოლიტიკაში პოლონეთმა გიდროკის კონცეფციაზე ხელი აიღო, ვიდრე განაგრძო იგი. თუ ამ კონცეფციის არსს გავიგებთ, როგორც განსაკუთრებულ ყურადღებას უკრაინისა და ბელორუსის პრობლემებზე, მაშინ რ. კუზნიარის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „პრომეთეანიზმი“ ნორმალურად უნდა ჩაითვალოს. ამ ფონზე პოლონეთ-რუსეთის ურთიერთობები გაუმჯობესდა [4].

თუმცა ამ უკანასკნელის საკმაოდ პროგრესირებადი განვითარება კვლავ გაართულა 2010 წლის 10 აპრილს ავიაკატასტროფამ, ისევე როგორც 2014 წლის უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა. პოლონელმა პოლიტიკოსებმა მკაცრად და ცალსახად დაგმეს რუსეთის პოლიტიკა. როდესაც 2014 წლის იანვარში მაიდანის მოვლენები დაიწყო, ევროკავშირის არ გააჩნდა სამოქმედო გეგმა. პოლონეთი იყო ალბათ პირველი, ვინც ამ ყველაფერზე რეაგირება მოახდინა. უკვე 22 იანვარს პოლონეთის პრემიერ მინისტრი დ. ტუსკი გაემგზავრა ევროპაში თავისი გეგმით, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესებას, უკრაინის ფინანსურ დახმარებას, ნორმალური არჩევნებისთვის პირობების შექმნას და უკრაინასთან ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას ითვალისწინებდა. ამ წინადადებებით დ. ტუსკმა ევროკავშირის შვიდი ქვეყანა მოიარა. 2014 წლის 18 თებერვალს, როდესაც დაიწყო მაიდანის შტურმი, პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი რ. სიკორსკი თავის გერმანელ და ფრანგ კოლეგებთან ერთად კიევში ჩავიდა ვ. იანუკოვიჩთან ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, მაგრამ შეთანხმება ვერ შედგა. შემდეგ კი პოლიტიკური კონტექსტი მთლიანად შეიცვალა ყირიმის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. ეს იყო პოლონეთის პრემიერ-მინისტრი, ვინც პირველი გამოეხმაურა და რომელმაც შესთავაზა ევროკავშირის საბჭოს საგანგებო სხდომის მოწვევა. შემდეგ, 2014 წლის მარტში, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება უკრაინასთან ასოცირების ხელშეკრულების პოლიტიკურ ნაწილზე პირველ სანქციებზე.

კონსოლიდირებული პოლონური პოზიციის განვითარების მიზნით, დ. ტუსკმა წამყვან პოლონელ პოლიტიკოსებთან 2014 წლის მარტში შეხვედრა გამართა. შეხვედრას, სხვათა შორის, ესწრებოდნენ ა. კვასნევსკი, ვ. ციმოშევიჩი და ლ. მილერი, რომლებიც წარმოადგენენ პოლონეთის მემარცხენეებს - გლეხთა პარტიის ლიდერი ჯ. კაჩინსკი იყო. ამ უკანასკნელს არასოდეს მიუღია მონაწილეობა მსგავს შეხვედრებში. Pi S-ის ხელმძღვანელმა შეხვედრის შემდეგ აღნიშნა: „ჩვენ ახლოს ვართ იმ მდგომარეობასთან, როდესაც შეგვიძლია ვისაუბროთ პოლონელი პოლიტიკოსების ერთიანობაზე უკრაინის საკითხზე. პრეზიდენტმა ბ. კომოროვსკიმ იმავე 2014 წლის მარტში მოიწვია ეროვნული უშიშროების საბჭო უკრაინის საკითხის განსახილველად.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ პოლონეთის უსაფრთხოებას არაფერი ემუქრება, მაგრამ არსებული ვითარება საფრთხეს უქმნის საერთაშორისო წესრიგს. პოლონეთმა არმიის მოდერნიზაციის კუთხით შესაბამისი დასკვნები უნდა გამოიტანოს. ბ. კომოროვსკი მიიჩნევს, რომ უკრაინაში სიტუაციის დესტაბილიზაცია რუსეთის ინტერესებშია, რომელიც რეგიონის კიევთან კავშირების შესუსტების მიზნით მოქმედებს.

პოლონეთის პრეზიდენტის თვალსაზრისით, კონფლიქტის მოგვარების შესაძლებლობა, „უკრაინის მხარდაჭერის გასაღები“, ევროკავშირისა და შეერთებული შტატების ხელშია. პოლონეთი მხარს უჭერს შეერთებულ შტატებს და ცდილობს გავლენა მოახდინოს ევროკავშირზე, რათა ევროკავშირმა გააცნობიეროს, რომ „თუ რუსეთი წარმატებას მიაღწევს უკრაინის დესტაბილიზაციისა და მოდერნიზაციის პროცესის შეჩერების მიზნით, მაშინ ეს იქნება საფრთხეს შეუქმნის ევროპის მთელ პოლიტიკურ წესრიგს“. პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ცივი ომის რეჟიმში დაბრუნება საკმაოდ სავარაუდოა, ამიტომ რაც უფრო პროდასავლური იქნებაა უკრაინის ორიენტაცია, მით უფრო დაცული იქნება პოლონეთი.

პრემიერ-მინისტრმა დ. ტუსკმა, რომელიც იმ დროს ჯერ კიდევ პოლონეთის მთავრობას ხელმძღვანელობდა (რომელმაც ეს თანამდებობა დატოვა ევროკავშირის საბჭოს ხელმძღვანელად არჩევის გამო), იმავე ტონით შეაფასა უკრაინაში არსებული ვითარება. მას მიაჩნია, რომ უკრაინაში არის ომი, მაგრამ „ომი განსაკუთრებული ტიპის, ომის გამოცხადების გარეშე“⁴. პოლონეთის პრემიერ-მინისტრის თქმით, დაძაბულ სიტუაციას რუსეთი პროვოცირებს და დიპლომატიური მოგვარების შანსები მცირდება. ნატო და ევროკავშირი მზად უნდა იყვნენ თავიანთი საზღვრების დასაცავად⁵. უფრო მეტიც, ევროპის პოზიციები უნდა გამყარდეს. ევროსკეპტიკოსები, დ. ტუსკის აზრით, „რეალურად, ობიექტურად თუ სუბიექტურად, ასრულებენ პოლიტიკოსების როლს, რომლებიც ეხმარებიან პუტინს მის ძალიან საშიშ თამაშში“⁶. ევროსკეპტიკოსების როლს ტრადიციულად, პირველ რიგში, ასრულებს, რომელიც წარუმატებლად მიიჩნევს, კერძოდ, აღმოსავლეთ პარტნიორობის პროექტს, რომლის განვითარებასაც დ.ტუსკი ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

ერთიანი ევროპული პოლიტიკისა და ევროპული ინტეგრაციის გაღრმავების აუცილებლობის იდეას სრულად უჭერენ მხარს პოლონეთის სოციალ-დემოკრატების ლიდერი ლ. მილერი და პარტია „თქვენი მოძრაობის“ ლიდერი ჯ. პალიკოტი. ისინი მტკიცედ უჭერენ მხარს ინტეგრაციის გაღრმავებას და პოლონეთის ევროზონაში შესვლას. ი. პალიკოტს მიაჩნია, რომ ეს ნაბიჯი უფრო ეფექტური იქნება, ვიდრე რაკეტაწინააღმდეგო დანადგარები [5]. თუმცა პოლონელები არ არიან მიდრეკილნი ამ უკანასკნელის უგულებელყოფისკენ: 2014 წლის მარტში თვითმფრინავები და ამერიკული ჯარების კონტიგენტი პოლონეთში ჩავიდა. ნატოს სამხედროების ყოფნის გაძლიერება მოსალოდნელი გახდა: ოქტომბერში, პოლონეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში აშშ-ს საკავალერიო პოლკის პირველი სამხედრო დივიზიის „ელიტური“ ნაწილი განლაგდა. სამხედრო წვრთნები შემოდგომაზე დაიგეგმა და აღმოსავლეთ ევროპაში ამერიკელ სამხედროებს ბრიტანეთისა და კანადის მექანიზებული ჯარები შეუერთდნენ.

პოლონეთი ცდილობს დაარწმუნოს ევროკავშირი საერთო პოლიტიკის აუცილებლობაში. როგორც პ. გრასმა (მმართველი პარტია სამოქალაქო პლატფორმის გენერალურმა მდივანმა) აღნიშნა, „როდესაც უღრან ტყეში დათვს ეწინააღმდეგეები, უმჯობესია ეს მარტო კი არა, არამედ ძლიერი მეგობრების კამპანიაში გააკეთო“. ა. კვასნევსკი ასევე დარწმუნებულია ევროპის ერთიანობის საკვანძო მნიშვნელობაში, რომელიც პირდაპირ საუბრობს „ერთიანი ევროპული ფრონტის“ შექმნაზე შეერთებული შტატების ჩართულობით. პოლონეთის პოზიციის კონცენტრირებული გამოხატულება

იყო სეიმში 2014 წლის 8 მაისს 10 პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის რადოსლავ სიკორსკის გამოსვლა. მან მთავარი ყურადღება უკრაინის პრობლემას დაუთმო. მინისტრმა გამოთქვა მოსაზრება, რომ რუსეთის ქმედებები „რა თქმა უნდა არღვევს ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს“, ისინი „მიუღებელია სამართლებრივი თვალსაზრისით და პოლიტიკურად სახიფათოა“. პოლონეთი რუსეთთან ურთიერთობაში ხელმძღვანელობდა დ. ტუსკის პოსტულატივით, რომლის მიხედვითაც აუცილებელია რუსეთის აღქმა „ისე როგორც არის“, მაგრამ ეს შესაძლებელი იყო მანამ, სანამ რუსეთი აკმაყოფილებდა თანამედროვე მსოფლიოს კრიტერიუმებს. ახლა რუსეთი, პოლონელი მინისტრის თქმით, აგრესიის გზას დაადგა და პოლონეთს შესაბამისი დასკვნები გამოაქვს.

